41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს



# ძვირფასო ზუგდიდელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ზუგდიდის მერობის კანდიდატისა და ზუგდიდის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ზუგდიდის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ზუგდიდი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

ზუგდიდი

# ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 17,6 მლნ იყო, 2021 წლის გეგმის მიხედვით 35 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივმა ბიუჯეტმა სულ 20,1 მლნ ლარი მიიღო, 2021 წელს გეგმის მიხედვით, გადასახადებში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 33 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 9 პროექტი** განახორციელა (ჯამურად 12 641 444 ლარი, თანამონაწილეობა 4 002 719 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 3 პროექტი (ჯამურად 447 736 ლარი, თანამონაწილეობა 179 095 ლარი). 2015-2021 წლებში, **„დანერგე მომავალი“,** 720 ჰექტარზე განხორციელდა 370 პროექტი (ჯამურად 16 915 062 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 5 415 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 31 583 829 ლარი), რითაც 4 475-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებზე სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 1 052 866 ლარი გაიცა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 20 კოოპერატივი (890 მეპაიე, კაპიტალი 342 380 ლარი). პროგრამით **„ქართული ჩაი“,** 2016-2021 წლებში, დაკონტრაქტებულია 14 ჰექტარი. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციას ჯამურად 35 741 ლარით დაფინანსდა. პროგრამით **შეღავათიანი აგროკრედიტი**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 74 855 395 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 11 069 232 ლარი), რითაც 398-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** 32 პროექტი, ჯამურად, 3 142 813 ლარით დაფინანსდა (თანადაფინანსება 1 224 203 ლარი). 2019 წელს ამოქმედებული **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამით** შესყიდულია 43 150 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 21 575 ლარი). 2020 წლიდან მიმდინარეობს 2 ახალი პროგრამა: **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** დღემდე 8 პროექტი განხორციელდა (ჯამურად 267 177 ლარი, თანადაფინანსება 133 568 ლარი), ხოლო **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით** 30 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 1 009 074 ლარი, თანადაფინანსება 644 559 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, 759 961 ლარი დაიხარჯა, შედეგად დაშრობილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0-დან (2013 წელს) 2 437 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, **ზუგდიდის მუნიციპალიტეტში,** ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 10 060 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 37 320 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად, მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ზუგდიდში დაფინანსდა 3 საწარმო (ჯამურად 2 700 000 ლარი, დასაქმებულია 56 ადამიანი). **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 4 სასტუმროს მშენებლობას (ჯამურად 11 114 832 ლარი, დასაქმდა 112 ადამიანი, მუნიციპალიტეტს 111 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 1 619 439 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 2 110 415 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 207 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 139, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 69 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტებისა თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

2014-2021 წლებში, **სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში,** აშენდა 9 ჰიდროელექტროსადგური (მაქსანია ჰესი, მესტიაჭალა 1 ჰესი, მესტიაჭალა 2 ჰესი, იფარი ჰესი, ხელრა ჰესი, ლახამი 1 ჰესი, ლახამი 2 ჰესი, კასლეთი ჰესი 2, ხელრა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 72 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება 296 მლნ კლვტ/სთ. **მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 6 ჰიდროელექტროსადგური:** ხობი ჰესი 2 – დადგმ. სიმძლავრე 46,70 მგვტ, 63 მლნ აშშ დოლარი; ნაკრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 7,50 მგვტ, 9 მლნ აშშ დოლარი; ნენსკრა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 280 მგვტ, 1 მლრდ აშშ დოლარი; ჯაღონ-ნამუში ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,4 მლნ აშშ დოლარი; ნაცეშარი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,93 მგვტ, 2,6 მლნ აშშ დოლარი; დარჩი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 16,9 მგვტ, 19,8 მლნ აშშ დოლარი; **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა** ვედი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 24 მგვტ, 19,1 მლნ აშშ დოლარი; წირმინდი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 15,6 მგვტ, 13,4 მლნ აშშ დოლარი; ლაპლაჭალა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, 11,9 მლნ აშშ დოლარი; ლუხრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 3,5 მგვტ, 14 790 000 აშშ დოლარი; ხუბერი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,24 მლნ აშშ დო-




გზების რეაბილიტაცია ექვს სოფელში – ერგეტა, ჯიხაშკარი, ნარაზენი, განმუხური, შამგონა

ლარი; ჭანი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0,5 მგვტ, 0,696 მლნ აშშ დოლარი; დიზი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 210 მგვტ, ინვესტიცია 388 მლნ აშშ დოლარი; ხუდონი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 702 მგვტ, 776 მლნ აშშ დოლარი;

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტში,** 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 21 892 აბონენტი. ხელისუფლების გეგმით, 2022-2023 წლებში, იგეგმება 7 სოფლის (ჯიხაშკარი, ყულიშკარი, ალერტკარი, დიდი ნეძი, ორულუ, ერგეტა, ცვანე) გაზიფიცირება (დამატებით 2 888 აბონენტი). 2013-2017 წლებში, 9 224 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განსავითარებლად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში,** 2014 წელს გაიხსნა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, დაიბეჭდა ტურისტული რუკები, დამზადდა ტურისტული ბანერები, ნიშნულები და საინფორმაციო კლიპები.

ზუგდიდსა და ანაკლიაში დამონტაჟდა ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები, საინფორმაციო-საორიენტაციო-სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებულია რუკა და ინფორმაცია ახლომდებარე ტურისტული ადგილების შესახებ; ზუგდიდში დამონტაჟდა ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებლები.

**ზუგდიდში ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად,** უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებულ პირთათვის კონსულტაციების გაწევა შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დაფინანსების მოსაზიდად. ამასთან, 2019 წელს ზუგდიდში კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობით ჩამოყალიბდა დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (დმო), რომელიც რეგიონის მასშტაბით ხელს შეუწყობს რეგიონის მდგრად ტურისტულ განვითარებასა და პოპულარიზაციას.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

რეგულარულად ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება,** მათ მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის, გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებსა და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს სტიქიური **გეოლოგიური პროცესების მონიტორინგს** და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ზუგდიდში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 52 მლნ ლარამდე დაიხარჯა. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 7,113 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 31 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 7 424 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, ზუგდიდის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 208 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა ზუგდიდის სასმელი წყლის სისტემები (13 კმ მაგისტრალური მილსადენი და 268 კმ გამანაწილებელი ქსელი, დამატებით 43 000 ბენეფიციარი), აშენდა ზუგდიდის წყალარინების ქსელი, რაც ასევე 43 000 ბენეფიციარს ემსახურება. სრულდება წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (43 780 830 ლარი); 2021-2023 წლებში, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, დამატებით 6 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. იგეგმება ან უკვე მიმდინარეობს სოფ. ინგირში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობა (984 885.00 ლარი); ქ. ზუგდიდში წყალსადენის ქსელზე ინდივიდუალური განშტოებებისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბუმეს წყალმომარაგების სისტემის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები (678 195.00 ლარი), ქ. ზუგდიდის არარეაბილიტირებული უბნებისთვის წყალარინების სისტემის მოწყობა (3 799 914.00 ლარი), ალერტკარის ადმ. ერთ. საკანკიოს უბანში წყალმომარაგების რეაბილიტაცია (491 644 ლარი); ჭაქვინჯის (ბაღმარანის უბანი) და ნარაზენის (საბეჭვაიოს უბანი) ადმ. ერთ. ქსელის მოწყობა (979 970 ლარი); ჭკადუაშის ადმ. ერთ., პაპავების უბანში, ქსელის მოწყობა (128 692 ლარი).




### 2021-2022 წლებისთვის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ოფაჩხაფუს ადმ. ერთეულში, ნარაზენის ცენტრალური გზიდან ოფაჩხაფუს ცენტრამდე ს/გზის რეაბილიტაცია – 130 000 ლ;
- რუხის ადმ. ერთეულში, სოხუმის ქ. მე-6 შესახვევში, ავტობუსების სადგომისა და დამხმარე ნაგებობების მოწყობა – 455 000 ლ;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმ.ერთეულში, პეტრიაშვილის ქ. №30-სა და გორის ქ. №2-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს კეთილმოწყობა – 74 077 ლ;
- ყულიშკარის ადმ.ერთეულში სამაქაცარიოს (წმ.გიორგის ეკლესიამდე მისასვლელი გზა) უბნის გზის რეაბილიტაცია – 290 303 ლ;
- ხეცერას ადმ.ერთეულში ი. მეუნარგიას ქ. (საფირცხელო-სამელიოს უბანი) გზის რეაბილიტაცია – 682 002 ლ;
- შამგონას ადმ. ერთეულში ნაფატუს უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 420 000 ლ;
- ანაკლიის ადმ. ერთეულში, რუსთაველის ქ-დან ო.დგებუაძის ქ.-მდე გზის საფარი და გარეგანათება – 324 726 ლ;
- ჯუმის ადმ.ერთეულში, ჯუმი-ახალსოფლის ს/გზის (ცაბაძის, ყაზბეგისა და ჯიქიას ქუჩები) რეაბილიტაცია (II ეტაპი) – 270 000 ლ;
- კახათის ადმ. ერთეულში, წმ.ნინოს ქ., ს/გზის მონაკვეთის (II ეტაპი) რეაბილიტაცია – 735 000 ლ;
- ზუგდიდის დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) – 269 357 ლ;
- კახათის ადმ. ერთეულში, გუგუჩიას ქუჩაზე (საგუგუჩიოს უბანი) გზის (II ეტაპი) რეაბილიტაცია – 784 994 ლ;
- კოკის ადმ.ერთეულში, კოკი-ახალკახათის ს/გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) – 1 212 984 ლ;
- ოირემესა და დავითიანის ადმ. ერთეულების დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი) – 186 000 ლ;
- ცვანეს ადმ.ერთეულში, ერგეტის ცენტრიდან ცვანეს ცენტრამდე და ცვანეს ცენტრიდან ანაკლიის ზღვის სანაპირომდე გზის საფარის რეაბილიტაცია – 388 000 ლ;
- ნაცატუს ადმ. ერთეულში, ზუგდიდი-წალენჯიხის ცენტრალური გზიდან, ნაცატუს მიმართულებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე ს/გზის რეაბილიტაცია – 300 000 ლ;
- ხეცერის ადმ. ერთეულში, საკუტალიო-სამოლაშხიოს უბნის გზის რეაბილიტაცია – 780 000 ლ;
- ინგირის ადმ. ერთეულში ჭავჭავაძისა და დადიანის ქუჩებზე ს/გზის რეაბილიტაციია – 284 000 ლ;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა ჩიქოვანის ქ. №36 – 93 903 ლ;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, ჩიქოვანის ქ. №38 – 85 146 ლ;
- ჩიქოვანის ქ. №36, №38, №39, №40, №41, №40/1, №40/2-ში და ი. ჭავჭავაძის ქ. №16-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა – 89 456 ლ;
- ჩიქოვანის ქ. №36, №38, №39, №40, №41, №40/1, №40/2-ში და ი. ჭავჭავაძის ქ. №16-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა – 81 072 ლ;
- თამარ მეფის ქ. №8, №10-ში და ჯანაშიას ქ. №9-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა – 74 326 ლ;
- ორსანტიის ადმ.ერთეულში ლ.ქიაჩელის ქ. ს/გზის რეაბილიტაცია – 190 100 ლ;
- დიდინეძის ადმ.ერთეულში, წმ. გიორგის ეკლესიამდე მისასვლელი ს/გზის სარეაბილიტაციოდ დოკუმენტაციის მომსახურების შესყიდვა – 117 342 ლ;
- ყულიშკარის ადმ. ერთეულში, საროგაოს უბანში, უჩაშონას დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია – 905 492 ლ;
- ცაცხვის ადმ. ერთეულში, თამარ მეფის ქ. ს/გზის საფარის რეაბილიტაცია – 405 462 ლ;
- ერგეტის ადმ. ერთეულში, ერგეტა-ბუი-დიდგვიმარონის დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია – 1 300 000 ლ;
- ნარაზენის ადმ. ერთეულში, საკალანდიოს უბანში, ს/გზის რეაბილიტაცია – 994 228 ლ.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# მამუკა წოწერია: „დროა, ზუგდიდელებს სიყვარული ასმაგად დავუბრუნო!“

**„ზუგდიდი ჩემი ოჯახია და მე ვარ ამ ოჯახის წევრი. არ იქნება ჩემი არჩევა იმის საფუძველი, რომ ამომრჩეველს ერთი წამით მაინც გაუჩნდეს სინანული. პირიქით, ყველანაირად ვეცდები, 4 წლის შემდეგ ზუგდიდი იყოს მუნიციპალიტეტი, რომელსაც პირველადი ინფრასტრუქტურა ექნება მოგვარებული და საძირკველი ჩაყრილი, რომ სწრაფი განვითარება განაგრძოს ყველა მიმართულებით. ზუგდიდი ჩემი ფესვებია. ჩემი შვილები აქ იზრდებიან. წარსულიც, აწმყოც და მომავალიც ზუგდიდთან არის დაკავშირებული და ის სიყვარული, რომელიც ზუგდიდისგან ვიგრძენი, დროა, უკან ასმაგად დავუბრუნო“, – ასე ემოციურად მიპასუხა, როცა ვკითხე, ზუგდიდის მერობა რატომ გადაწყვიტეთ-მეთქი. ზუგდიდმა უკვე კარგად იცის, რომ მისი განვითარებისთვის „ქართული ოცნების“ კანდიდატი მამუკა წოწერია თავს არ დაზოგავს. ამაში ზუგდიდელები მაშინაც დარწმუნდნენ, როცა გამგებლის მოადგილე იყო და ბოლო წლებშიც – როცა საკრებულოს თავმჯდომარეობდა. მერობის კანდიდატი მამუკა წოწერია გვიმხელს, რომ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით დიდი გეგმები აქვს.**

**– ბატონო მამუკა, გვიამბეთ თქვენს ოჯახზე, როგორ გარემოში იზრდებოდით?**

– 1974 წლის 10 იანვარს, იური და მიმოზა წოწერიების ოჯახში დავიბადე. მამა პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტი იყო. სამწუხაროდ, გარდაცვლილია, რაც ჩვენი ოჯახის დიდი ტრაგედიაა. მიუხედავად იმისა, რომ არც პატარა ასაკი მაქვს და არაერთ თანამდებობაზეც ვყოფილვარ, დღესაც მამაჩემის შვილად მომიხსენიებენ. მისი ბოლო თანამდებობა ენგურჰესის პარტიული კომიტეტის მდივნობა იყო და ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ენგურჰესის განვითარებაში. ქალაქკომში სხვადასხვა პოზიციაც ეკავა. გახლდათ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტიც. მის სახელს ბევრი საქველმოქმედო საქმიანობა უკავშირდება. მამას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში და პროფესიული უნარების დახვეწაშიც. ასევე, ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა დედა, რომელიც მშენებელ-ინჟინერი გახლავთ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა პროფესიულ ტექნიკუმში. რამდენიმე თაობის აღმზრდელია და ძალიან დიდი იმედია ჩემთვის. მყავს ასევე ძმა, იუზა წოწერია, რომელიც ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია. ძალიან კარგ გარემოში ვიზრდებოდით. დედ-მამას ერთმანეთთანაც საოცარი ურთიერთობა ჰქონდათ და ჩვენც სითბოში, მზრუნველობასა და სიყვარულში გვაცხოვრებდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ მამა მუდმივად დაკავებული იყო, ჩემი და ჩემი ძმის სწავლაში ჩართული იყო დედა. აბიტურიენტობის დროს მხედველობის პრობლემა შემექმნა და მთელი წლის განმავლობაში დედა ყველა სასკოლო თუ მოსამზადებელ საგანს ზეპირად მასწავლიდა. მათ შორის მათემატიკასაც. ალბათ აქედან გამომიმუშავდა სმენითი მეხსიერება. ასე რომ, განათლებისა და კითხვის მიმართ ჩვენი მიდრეკილება მისი დამსახურებაა.

**– ვისი დამსახურებაა, რომ ეკონომისტის პროფესიას დაეუფლეთ?**

– მამისა და ძმის... ძალიან მინდოდა, ექიმი გამოვსულიყავი და ვემზადებოდი კიდეც ამისთვის, მაგრამ ისევ მხედველობის პრობლემის გამო, აღარ ჩავაბარე სამედიცინოზე. გამომდინარე იქიდან, რომ მამაც ეკონომისტი იყო, ძმა კი უკვე ასპირანტი გახლდათ, ეს გადაწყვეტილება მივიღე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მათი გამოცდილება, თეორიული ცოდნა, მნიშვნელოვნად დამეხმარებოდა ამ პროფესიის ათვისებაში. ასეც მოხდა. თუმცა, მოგვიანებით, მეორე პროფესიას – დიპლომატიას დავეუფლე. მაშინ დიპლომატიური აკადემია ახალშექმნილი იყო და ძალიან მაინტერესებდა საერთაშორისო ურთიერთობები.

**– საინტერესო იქნება, როგორ შეაფასებთ საგარეო პოლიტიკას და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს.**

– მარტივად მოგახსენებთ. „ქართული ოცნების“ პირობებში მშვიდობა შენარჩუნდა. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, არ გვყოლია ხელისუფლება, რომლის პირობებში ომი არ იყო. „ქართული ოცნება“ არის ის ხელისუფლება, რომელიც ახერხებს, როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე ბალანსის დაცვას და შესაბამისად, ყველაზე დიდი შედეგი გახლავთ მშვიდობა, რომელიც აუცილებელია განვითარებისთვის, მათ შორის ეკონომიკური განვითარებისთვის. მთავარი მონაპოვარია ისიც, რომ ჩვენმა გუნდმა შეცვალა დამოკიდებულება ხალხსა და ხელისუფლებას შორის. ჩვენთვის ხელისუფლება არ არის არც ძალაუფლება, არც პრივილეგია. ეს არის ვალდებულება ემსახურო საკუთარ მოსახლეობას. უახლოესი 4 წლის განმავლობაში სწორედ ეს იქნება ჩვენი მუშაობის პრინციპი. მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

**– დადებითად აფასებთ ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკასაც?**

– დიახ, პანდემიამდე საკმაოდ მზარდი იყო ჩვენი ეკონომიკა. მიმდინარეობდა ეკონომიკის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა, რომელიც უპირატესი ხელშეწყობის ობიექტი გახდებოდა. თუმცა, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე ჩვენთანაც შეიტანა კორექტივები პანდემიამ ეკონომიკაში, რომელსაც „კორონომიკაც“ უწოდეს. პოსტკოვიდურ პერიოდშიც საკმაოდ დამაიმედებელია ის სტატისტიკა, რომელიც როგორც ეკონომიკური, ისე საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვის ზრდის მაჩვენებელია. ჩვენ ერთ-ერთი პირველი ვართ, როგორც ევროპაში, ასევე – მსოფლიოში. ეს მიანიშნებს, რომ როგორც კოვიდვითარების მართვა, ასევე ეკონომიკის სტიმულირების მექანიზმები, სწორად არის განსაზღვრული. იმედია, ძალიან მალე დავუბრუნდებით კოვიდამდელ ეკონომიკურ ზრდას. რა თქმა უნდა, ყოველდღიური ზრუნვის საგანი იქნება სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, აქედან გამომდინარე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიკის ინკლუზიური განვითარება, რათა ეკონომიკური ზრდა თითოეულ ოჯახზე აისახოს.

**– ხელისუფლების ასეთი მიდგომებია მიზეზი, რის გამოც „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი ხართ და ზოგადად, თავის დროზე, პოლიტიკურად გააქტიურების სურვილი რატომ გაგიჩნდათ?**

– ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებს შორის, მაგრამ მაშინ პოლიტიკაში ჩემი ჩართვა ძალიან ნაადრევი იქნებოდა. ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო, ფიზიკურად ყველა მანიფესტაციაში აქტიურად ვმონაწილეობდით მე და ჩემი ძმა. ჩვენი განწყობის ერთგვარი გარდამტეხი 9 აპრილი იყო. მაშინ 15 წლის ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ მამა იყო პარტიული მუშაკი, მახსოვს მისი განწყობაც. ეს იყო უკვე წყალგამყოფი სისტემასა და მომავალ დამოუკიდებლობას შორის. შემდეგ იყო შიდა დაპირისპირება, რომლის ყველაზე ცუდი შედეგები იგრძნო ზუგდიდმა და ამ პერიოდში, ცხადია, ჩემი ოჯახი იდგა ეროვნული ხელისუფლების გვერდით. მას შემდეგ, მიუხედავად არაერთი შემოთავაზებისა, არც ერთ პარტიაში შესვლის სურვილი არ მქონია. არც არასდროს ვყოფილვარ რაიმე პოლიტიკურ თანამდებობაზე. ერთადერთი პარტია, რომელსაც 2013 წელს შევუერთდი, „ქართული ოცნებაა“. სხვათა შორის, ერთიანობის ისეთი განცდა ეროვნული მოძრაობის შემდეგ, მხოლოდ 2011 წლის ბოლოს მქონდა. მაშინ ბიძინა ივანიშვილმა შეძლო ერის კონსოლიდაცია ძირითადი ეროვნული პრინციპების გარშემო. ესეც იყო მიზეზი, რის გამოც ამ გუნდის გვერდით დადგომის სურვილი გამიჩნდა. „ქართული ოცნების“ პრინციპებს ვიზიარებ.

**– გარკვეული პერიოდი კერძო სექტორშიც იყავით. დღეს როგორი ბიზნესგარემოა ქვეყანაში?**

– დიახ, მე ვარ დამფუძნებელი ზუგდიდის ეთერზეთების კომპანიის – რომელიც ექსპორტზე მუშაობდა. ამ ბიზნესს მამა უძღვებოდა და მისი გარდაცვალების შემდეგ მე ჩავუდექი სათავეში. საკმაოდ წარ-



დაიბადა 1974 წლის 10 იანვარს. 1996-2001 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე; 1997 წელს – საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში. 1996-2001 წლებში იყო ზუგდიდის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის მარკეტინგის სპეციალისტი; 1998-2000 წლებში ა/ო „საზოგადოებრივი პროგრამების ფონდის“ ეკონომიკისა და სტატისტიკის სექტორის კოორდინატორი; 2000-2002 წლებში საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის კონკურენციის განვითარების განყოფილების უფროსის მოადგილე; 2002-2004 წლებში გახლდათ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების განყოფილების უფროსი; 2004-2008 წლებში მენეჯერ-კონსულტანტი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში; 2010-2013 წლებში მუშაობდა მერიის ქონების მართვის სააგენტოში სხვადასხვა წამყვან პოზიციაზე; 2013-2016 წლებში იყო კომპანია „ზუგდიდის ეთერზეთების“ დირექტორი; 2012-2016 წლებში - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის უფროსი; 2014-2016 წლებში – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, ასევე საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი; 2016 წელს გახლდათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე; 2017 წელს – პირველი მოადგილე; 2017 წლიდან დღემდე არის ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე; ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი



მატებული იყო ბიზნესში ჩემი საქმიანობა. მამასაც ჰქონდა გარკვეული პრობლემები თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტეტით სარგებლობდა ზუგდიდში. რადიკალური განსხვავებაა ბიზნესთან დამოკიდებულებაში წინა და დღევანდელ ხელისუფლებას შორის. დღეს ბიზნესზე მორგებული საბაჟო საგადასახადო კოდექსი, სამეწარმეო კოდექსი, ბიზნესს აძლევს გარკვეული კაპიტალის დაგროვების საშუალებას. ძალიან კარგი რეფორმა იყო მოგების გადასახადის განაწილების რეფორმა, რამაც კომპანიებს საშუალება მისცა, საბრუნავ საშუალებებად ჰქონდეთ ის თანხები, რომელიც მათ, ბიზნესში ინვესტირების შემთხვევაში, მოგების გადასახადისგან ათავისუფლებს. მანამდე გვახსოვს შავი სახელმწიფო ბიუჯეტი, სადაც ძალიან დიდი ბეგარა ჰქონდათ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებულისა. ასევე იყო საჯარიმო სანქციები, რომელიც იყო რეპრესიული ელემენტარულ დარღვევაზეც. ეს დარღვევები კი, გარკვეული ძალების ზემოქმედებითაც კი შეიძლებოდა გაჩენილიყო. ასე რომ, ბიზნესს დღეს აქვს სრული თავისუფლება და განვითარებისთვის ყველანაირი ხელშეწყობა ხელისუფლებისგან. ამ მხრივ, მართლაც დიდი პროგრესი და ცვლილებაა.

**– არის პროგრესი და ცვლილება ზუგდიდში მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა?**

– ძალიან ბევრი რამ შეიცვალა და გაკეთდა, თუნდაც ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. ეს არის ქალაქის უწყვეტი წყალმომარაგება, წყალარინები და გამწმენდი ნაგებობა. ეს არის ისეთი კომუნალური ინფრასტრუქტურა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ქალაქის განვითარება, როგორც ინფრასტრუქტურულად, ურბანულად, ასევე ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. თუ წყალი და ბუნებრივი აირი არ არის, კანალიზაციის სისტემა მოუწესრიგებელია, ვერც ერთ ინვესტორს ვერ დაარწმუნებ, რომ ჩაიდოს ამ ქალაქში ინვესტიცია. ეს ყველაფერი მოგვარებულია. დაახლოებით 450 მილიონი ლარი დაიხარჯა კომუნალური ინფრასტრუქტურის შექმნაზე. ალბათ ამას შეგნებულად არიდებდნენ თავს, იმის გამო, რომ ძირითადად, რაც წინა ხელისუფლების პირობებში ზუგდიდში კეთდებოდა, იყო ფასადური. ყველა სოფელში დღეს გვაქვს ცენტრამდე მისასვლელი გზა და დანარჩენი გზების მოწესრიგებაც უკვე დაწყებულია. ძალიან დიდი წარმატებაა ტრანსპორტის თვალსაზრისით. განახლდა ავტოპარკი და ყველა სოფელს ემსახურება ევრო-5-ის სტანდარტის ავტობუსი. ძალიან მნიშვნელოვანი პროექტებია ასევე: გაჩანაგების პირას მყოფი ბოტანიკური ბაღის, ჩვენი სავიზიტო ბარათის, სრული განახლება-რეაბილიტაცია, ნიკოსეული სასახლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, ზუგდიდის დრამატული თეატრის მშენებლობა, სადაც შესვლაც კი საფრთხის შემცველი იყო. ჩვენთვის პრიორიტეტია საგანმანათლებლო დაწესებულებები. ყველა სკოლაში კვებისა და სველი წერტილების პრობლემა მოგვარებულია, ათამდე სკოლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. რაც შეხება საბავშვო ბაღებს, იქ, სადაც რეაბილიტაცია შესაძლებელია, სველი წერტილები მოვაწესრიგეთ, 5 ახალი ბაღი შენდება, ასევე 5-ის მშენებლობა იგეგმება.

**– პრიორიტეტია ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით ახალი პროექტები თუ განახორციელეთ?**

– დიახ, ეს მიმართულება ჩვენთვის პრიორიტეტია. უმნიშვნელოვანესი პროექტია მძიმე საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების მქონე ოჯახებისთვის სახლების მშენებლობა და 2015 წლიდან დღემდე 141 ოჯახს ახალი სახლი ავუშენეთ ასეთ პირობებში მყოფ ოჯახებს და ეს გრძელვადიან ეფექტზე გათვლილი პროექტია. ეს არის 141 თავიდან დაწყებული ცხოვრება. პროექტი გაგრძელდება, სანამ ამის საჭიროება იქნება. რა თქმა უნდა, შეცვლილია დევნილთა განსახლების პროგრამა. ასეთი მასშტაბური და ხარისხიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა არასდროს ყოფილა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია „სოფლად სახლის“ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სოფელში ხდება საცხოვრისის შეძენა და დევნილებს საშუალება ეძლევათ, საკუთარი საოჯახო მეურნეობაც განავითარონ. მხარდამჭერი პროგრამები ამ მიმართულებითაც ხორციელდება. ასე რომ, ძალიან დიდი ცვლილებებია მუნიციპალიტეტში. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისკენაც გადაიდგა ნაბიჯები. ჩვენ დავიწყეთ ოლიმპიური საცურაო აუზის მშენებლობა. ეს არა მხოლოდ სპორტული, არამედ სამედიცინო კუთხითაც მნიშვნელოვანია. ჩვენ გვქონდა სამხედრო სამსახურში გაწვევის სტატისტიკა, სადაც ახალგაზრდებში პრობლემები ჯანმრთელობის თვალსაზრისითაც დაფიქსირდა. ასევე შენდება რაგბის თანამედროვე სტანდარტის ბაზა და მალე დასრულდება სტადიონის მშენებლობა... ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ თვითკმაყოფილები ნამდვილად არ ვართ. ვიცით, რომ გვაქვს გამოწვევები, რომლებსაც ღირსეულად უნდა ვუპასუხოთ.

**– რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს ზუგდიდი და თქვენ რა გეგმები გაქვთ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?**

– ახალი გამოწვევაა სოფლების წყალმომარაგების საკითხი, რომელიც ზრუნვის უპირატესი საგანი იქნება და კარგია, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის გეგმებში ზუგდიდში კრიტიკული სოფლების წყალმომარაგების საკითხი უკვე აისახა. საავტომობილო გზების მშენებლობა სოფლებში უნდა გავაგრძელოთ. გაგრძელდება ინფრასტრუქტურული პროგრამების განხორციელება. მნიშვნელოვანია გადაიხედოს და დაიხვეწოს ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიასთან იქნება შესაბამისობაში. სწორი საინვესტიციო პოლიტიკით ეკონომიკა უნდა გაძლიერდეს, რასაც შედეგად სამუშაო ადგილების ზრდა მოჰყვება. უფრო მეტი ტემპით გაგრძელდება ბაღებისა და სკოლების რეაბილიტაცია, ახლის მშენებლობა. უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდების და ზოგადად ჩვენი მოქალაქეების მაქსიმალური ჩართულობა თვითმმართველობის პროცესში. სხვათა შორის, ჩვენ გვქონდა ერთ-ერთი ინოვაციური პროგრამა „სამოქალაქო ბიუჯეტი“, რომელიც საკრებულოს ინიციატივა იყო. პროგრამის ბიუჯეტი მილიონი ლარია და ის მოსახლეობის მიერ შერჩეულ პროექტებში იხარჯება. ასევე კარგი ინიციატივაა „მწვანე ბიუჯეტი“, რომელიც იმავე პრინციპზეა დაფუძნებული და მოსახლეობას ვაძლევთ საშუალებას შეარჩიონ ადგილები, სადაც მეტი გამწვანება უნდა გვქონდეს.

**– სამეგრელო ყოველთვის გამოირჩევა „ცხელი არჩევნებით“. როგორ არჩევნებს ელოდებით და რა უპირატესობა გაქვთ კონკურენტებთან შედარებით?**

– ემოციები მართლაც მომძლავრდა. ჩვენ ვართ პასუხისმგებლიანი ხელისუფლება. ყველანაირად ვეცდებით ეს ტემპერატურა დავწიოთ. ჩვენი უპირატესობა არის ინტენსიური ურთიერთობა მოსახლეობასთან – საქმიანიც და ემოციურიც. ჩემი წინასაარჩევნო შეხვედრებიც ზუსტად ამას ეხება. ჩვენ ჩვენი გეგმით მივდივართ, მათთან ერთად ვაჯერებთ პრიორიტეტებს. ასე რომ ძალიან დიდი უპირატესობა გვაქვს, რომლებიც საერთოდ არც განიხილავენ თავს როგორც მეურნეს, ქალაქის ხელმძღვანელს. უბრალოდ უნდათ, რაღაც შედეგის მიღწევა, რომელიც მერე დესტაბილიზაციის შემტანი იქნება. ზუგდიდი ჩემი ოჯახია და მე ვარ ამ ოჯახის წევრი. ეს არის ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობა. არ იქნება ჩემი არჩევა იმის საფუძველი, რომ ამომრჩეველს ერთი წამით მაინც გაუჩნდეს სინანული. პირიქით, ყველანაირად ვეცდები, 4 წლის შემდეგ ზუგდიდი იყოს მუნიციპალიტეტი, რომელსაც პირველადი ინფრასტრუქტურა ექნება მოგვარებული და საძირკველი ჩაყრილი, რომ სწრაფი განვითარება დაიწყოს ყველა მიმართულებით. ზუგდიდი ჩემი ფესვებია. ჩემი შვილები აქ იზრდებიან. წარსულიც, აწმყოც და მომავალიც ზუგდიდთან არის დაკავშირებული და ის სიყვარული, რომელიც ზუგდიდისგან ვიგრძენი, დროა უკან ასმაგად დავუბრუნო.



# კანდიდატის რადიოლოგი მეუღლე, „ფეხბურთელი“ ვაჟი და „ბალერინა“ გოგონა

მამუკა წოწერიას რჩეული თამარ ერქვანია წარმატებული რადიოლოგია. თამარი აფხაზეთიდანაა, გაგრიდან. კანდიდატმა მომავალი მეუღლე ნათესავის დაბადების დღეზე გაიცნო. იმ დღესვე მოიხიბლა, მაგრამ მერე ისინი ცხოვრებამ სხვადასხვა მიმართულებით წაიყვანა. „იყო პაუზა, მაგრამ მუდმივად გონებაში მიტრიალებდა. მაინტერესებდა, რას საქმიანობდა, რა სამომავლო გეგმები ჰქონდა“, – იხსენებს ბატონი მამუკა და იმასაც გვიმხელს, რომ საკმაოდ დიდი კონკურენციის პირობებში მოუწია რჩეულის გულის მონადირება, თუმცა კონკურენციამ ვერ შეაშინა. პირიქით, მსგავსი გარემო მოტივაციას მაძლევს, რომ მუდმივად „ფორმაში“ ვიყოო, ამბობს. გაცნობიდან 8 წლის შემდეგ იქორწინეს. მას შემდეგ სიყვარულით მოდიან. ცხოვრების ყველა ეტაპზე, ერთმანეთს გვერდით უდგანან. სხვათაშორის, ბატონ მამუკას, მეუღლის პროფესიიდან გამომდინარე, გვიან ღამით, მორიგეობებზე წასვლაც უწევს ხოლმე.

წყვილს ორი შვილი ჰყავს. ბავშვებს იმ პრინციპებითა და ღირებულებებით ზრდიან, როგორითაც თავად გაიზარდნენ. დათუნა მეორე კლასშია. დისტანციურ სწავლასაც კარგად აუღო ალღო. მამა მას ხშირად ეხმარება მათემატიკისა და ზუსტი მეცნიერებების ათვისებაში. თუმცა, დათუნას განათლებაზე ზრუნვა მთლიანად აქვს აღებული ბებიას – კანდიდატის დედას. დათუნა ფეხბურთზე დადის. სპორტის ამ სახეობის ნიჭი მამისგან გამოყვა – მამუკა წოწერია ფეხბურთს საკმაოდ კარგად თამაშობდა, მაგრამ სპორტული კარიერის მოწყობას სწავლა არჩია. ისე, ხელბურთსაც თამაშობდა და კარგი მრბოლელიც იყო. დღეს სპორტისთვის დრო ნაკლებად რჩება. ვერც სანადიროდ იცლის, არადა ნადირობა ერთ დროს მისი ჰობი იყო.

დათუნას კალათბურთის ნიჭიც აქვს. ეს უკვე დედის გენების დამსახურებაა – დედის ძმა, წარმატებული კალათბურთელია. თუ დათუნა სპორტში წარმატებას მიაღწევს, განვითარებაში ხელს აუცილებლად შეუწყობს, სწავლასა და სპორტს შორის არჩევანს არ გააკეთებინებს. ახლა, მისი ბავშვობის წლებისგან განსხვავებით, სპორტი პერსპექტიულია.

პატარა მარიამი ჯერ საბავშვო ბაღის აღსაზრდელია. გატაცებაც აქვს – მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ბალეტზე დადის და ოცნებობს, დიდი ბალერინა გახდეს.

მამუკა მეგობრებთან თავს ყოველთვის კომფორტულად გრძნობდა, მაგრამ ბოლო დროს საყვედურობენ, ჩვენთვის ვეღარ იცლიო. ამის მიზეზი ისაა, რომ როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავს, გული ოჯახისკენ მიუწევს. ცდილობს, ოჯახის წევრებთან ურთიერთობით, დროის ის დანაკლისი აანაზღაუროს, რომელიც სამსახურიდან გამომდინარე აქვს. როცა გაიგეს მერობას აპირებდა, მაქსიმალური მხარდაჭერა გამოუცხადეს, მათ ოჯახში ასეა – ერთმანეთის გადაწყვეტილებებს პატივს სცემენ. თანაც, იციან, რომ ზუგდიდზე უზომოდ შეყვარებული, მუნიციპალიტეტისთვის მაქსიმალურად დაიხარჯება და ბევრ სასიკეთო საქმესაც გააკეთებს.

მისი მთავარი გულშემატკივარი დათუნაა, რომელსაც, სხვათაშორის, ასაკისთვის შეუფერებელი პოლიტიკური განათლება აქვს. ისიც კი იცის, რომ საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოა და მერი საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულია. სხვათა შორის, დავითი პირველი იყო, ვინც კანდიდატი-მამა დაისვა და ზუგდიდელი ბავშვების საჭიროებებზე ესაუბრა. უთხრა, რომ მათი საყვარელი დადიანების სასახლის უკან, საბავშვო ატრაქციონები არის, მაგრამ ეს საკმარისი როდია – მეტი გასართობი სივრცე და მასშტაბური ატრაქციონები სჭირდებათ, დაახლოებით თბილისის „ბომბორასნაირი“. კანდიდატმაც პირველი საარჩევნო დაპირება მასთან გასცა – ყველაფერს გავაკეთებ, ინვესტორებს მოვიზიდავთ და ზუგდიდელი ბავშვების ოცნებას ავახდენთო. თუმცა, გამარჯვების შემთხვევაში, ყველა ზუგდიდელის ნატვრის ახდენაზე ფიქრი მოუწევს. ამბობს, რომ ამისთვის ყველაფერს გააკეთებს.

მის ოჯახს ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია, ბევრი დაბრკოლება გამოიარეს. კანდიდატის მამა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც წინა ხელისუფლების რეჟიმს ძალოვანი სისტემის გამო დაუპირისპირდა. ამის გამო ოჯახზე ზეწოლაც განახორციელეს. „ზეწოლა“ რბილად ნათქვამია – ფიზიკური დაპირისპირებები, თავდასხმაც იყო. მამა ისე გარდაიცვალა, ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლას ვერ მოესწრო...

თავისუფალ დროს ოჯახის წევრებთან ერთად დადიანების სასახლეს სტუმრობს, ან ბოტანიკურ ბაღში სეირნობენ. თუმცა ყველაზე დიდ სულიერ სიმშვიდეს მაცხოვრის გორაზე, მაცხოვრის კარის ეკლესიაში ყოფნა ანიჭებს. აქ საკუთარ თავთან განმარტოვდება და ხვდება, რომ მთელი ცხოვრება, ბედნიერ თუ რთულ პერიოდებში, ზუგდიდელების სიყვარულით განებივრებული იყო. ჰოდა, დროა, მათ სიყვარული ასმაგად დაუბრუნოს.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. **2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 95 268 976 ლარი, დაფინანსდა 245 299 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (7 324 193 ლარით 487 154 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (13 043 805 ლარით 170 625 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (51 304 346 ლარით 39 244 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (16 032 049 ლარით 14 754 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (4 781 854 ლარით 7 521 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (4 680 720 ლარით 10 443 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), **ზუგდიდის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 7 066 ბენეფიციარი (დაიხარჯა 605 466 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ზუგდიდში** 84%-დან 96%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი (2020 – 69.6%). **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ზუგდიდში** სტაციონარული მკურნალობით 789-მა (2 397 148 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 8 469-მა პაციენტმა (878 932 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 10 259 ორსული (515 495 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 2 820. 2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 7 186 პირი (1 297 723 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **ზუგდიდის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ზუგდიდში,** 2013-2021 წლებში, სულ 1 834 შემთხვევა 3 078 113 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ზუგდიდის მუნიციპალიტეტს 93 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**




## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა/მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ამბულატორიების რეაბილიტაცია ადმინისტრაციულ ერთეულებში: ცაიში (23 000 ლ), ჩხორია (39 912 ლ), აბასთუმანი (24 239 ლ), ქკადუაში (4 260,1 ლ); ამბულატორიების მშენებლობა ადმინისტრაციულ ერთეულებში: კახათი (98 028 ლ), ახალაბასთუმანი (100 000 ლ), ინგირი (99 746 ლ), ყულიშკარი (99 921 ლ), ხურჩა (98 699 ლ), ზუგდიდი სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა (505 477 ლ). **დევნილები**: ქ. ზუგდიდში, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 6 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა (7 403 992 ლ), 4 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა (4 908 265 ლ), 10-სახლიანი საცხოვრებელი უბნის გარესაინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა (2 150 974 ლ); ბარამიას №7, 3 შეწყვილებული კორპუსის მშენებლობა/ეზოს კეთილმოწყობა (360 ბინა) III ეტაპი (21 454 450,15 ლ); ბარამიას ქუჩა №7–ში მიმდებარედ, 2 შეწყვილებული კორპუსის მშენებლობა (240 ბინა – 15 000 000). დემურიას ქ. №1, სრული რეაბილიტაცია ბინებად (47 ბინა – 1 738 800 ლარი). **ნაწილობრივი რეაბილიტაცია:** ქ. ზუგდიდში, ბერანძის ქ. №5 (1 249 999 ლ). დემურიას ქ. №1, გაზმომარაგების სამუშაოები (39 704,40 ლ); ბერანძის ქ. №5, სველი წერტილებისა და ფასადის სამუშაოები (223 329 ლ) და დემურიას ქ. №1, ჭაბურღილის მოწყობა (86 117 ლ). **ქ.ზუგდიდი,** ქ. ქუთაისი, წყალტუბო, იძულებით გადაადგილებულ პირთა 6 კოლექტიური ცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (ჯამურად 3 726 983 ლ).

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 1409,2 ლარით განისაზღვრა.**

**2012 წლიდან დღემდე ჯანდაცვის სფეროში ხორციელდება 11 მუნიციპალური პროგრამა,** მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელშეწყობის პროგრამა, ძვირადღირებული გამოკვლევების (კტ, მრტ, კორონაროგრაფია) დაფინანსება/თანადაფინანსება,სტაციონარული სამედიცინო მომსახურების (გეგმიური ქირურგიული ოპერაციები) თანადაფინანსება, 0-18 წლამდე ბავშვების აბილიტაცია/რეაბილიტაციის თანადაფინანსება, იშვიათი დაავადებების (ცელიაკია, ფენილკეტონურია, მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების თანხით უზრუნველყოფა, ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება/თანადაფინანსება, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიური მოვლის საშუალებების დაფინანსება, ძვირადღირებული თერაპიის საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა და სხვ.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებითა და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგსა და მათზე რეაგირებას.

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 31 272 პირი. 2012 წლის შემდეგ, 2,5-ჯერ – 34 139 681-დან 84 444 565 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2020 წლებში, სულ 518 216 198 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ზუგდიდში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 470 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,2-ჯერ – 667 399-დან 2 801 655 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 18 756 455 ლარი გაიცა. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **ზუგდიდის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 6 560 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 4,4-ჯერ – 3 610 ათასიდან 15 817 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 86 647 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 14 936 ათასი, შშმ პირებზე – 5 229 ათასი, ბავშვებზე – 32 809 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ზუგდიდში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 5 465 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,3-ჯერ – 1 455 837-დან 9 139 468 ლარამდე გაიზარდა.

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 38 675 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 14 131 056-დან 21 324 465 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-20121 წლებში, სულ დაიხარჯა 173 421 004 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ზუგდიდის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 2371 ოჯახი, მათ შორის: 1250 ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი 956 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 706 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. მათ შორის ზუგდიდში 600. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ზუგდიდში**, დაფინანსებულია 534 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 5 188 800 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 928 350 ლარი.



**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე** – 5 425 016 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს -ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჩართული იყო 1985 ოჯახი, 2021 წელს (ივნისის მდგომარეობით)– 2205. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, პროგრამით მუნიციპალიტეტში, 2020 წელს, მუნიციპალიტეტში, 2020 წელს, ისარგებლა 873-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 956 ოჯახმა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) ზუგდიდში, 2020 წ. პროგრამაში ჩაერთო 1404 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 1409 პირი.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში– 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით **2.7-ჯერ გაიზარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2114,0 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 932,8 ათასი ლარი იყო.

**ზუგდიდში 2012 წლიდან დღემდე სოციალური დაცვის სფეროში განხორციელდა/ხორციელდება 14 მუნიციპალური პროგრამა,** მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ონკოლოგიურ ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა, მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა, ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა, ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა, სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა, დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერის და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა, უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.




2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა მართვის ცენტრის დაქვემდებარებაშია 63 საბავშვო ბაღი, მათგან 18 – ქალაქში, ხოლო 45 – სოფლად (157 საამზრდელო ჯგუფით).

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ზუგდიდში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება:** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 11 მლნ 922,7 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის, 6 მლნ 578,6 ათასი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 2 მლნ 322,6 ათასი ლარი იყო.

**2014-2021 წლებში, ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში, აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს, მათ შორის, 2014-2016 წლებში** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩატარბა ქ. ზუგდიდისა და მუნიციპალიტეტის სოფლების 23 საბავშვო ბაგა-ბაღში, ხურჩის საბავშვო ბაღი კი რეაბილიტირდა სრულად. **2016-2017 წლებში –** აშენდა ახალკახათის ს/ბაღი (570 ათასი ლარი). სრულად რეაბილიტირდა №10,12,13 ბაღები (სულ 770,1 ათასი ლარი): **2018 წელს** ახალი შენობა აშენდა ქ. ზუგდიდში №2 საბავშვო ბაღისთვის. ასევე, განხორციელდა რეაბილიტაციის 14 პროექტი (ჯამში 101,4 ათასი ლარი). **2019 წელს** საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის 21 პროექტზე, ჯამში, 207,9 ათასი ლარი დაიხარჯა; ანაკლიაში დასრულდა 110 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა (1 მლნ 872,7 ათასი ლარი); **დასრულდა** ქ. ზუგდიდის №2 საბავშვო ბაღის მშენებლობა (ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 მლნ 300 ათასი ლარი). **მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით,** ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, სოფ. ჯუმში, (ასევე, სამტრედიაში, სოფ. ნაბაკევი და ქ. სენაკში, ჯიხას ქ. №5-ში), **დასრულდა,** 50 ბავშვზე გათვლილი, საბავშვო ბაღების პროექტირება/მშენებლობა (2 მლნ 162,9 ათასი ლარი).

**შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს,** 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 3135-დან 4221-მდე გაიზარდა, 26-დან 50 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა **კვების რაციონი.** საბავშვო ბაღებს 159 აღმზრდელი, 183 აღმზრდელის თანაშემწე და მუსიკის 74 მასწავლებელი ემსახურება.

**სასკოლო მზაობის** პროგრამა დანერგილია 44 საბავშვო ბაღში (ასევე 5 ალტერნატიულ ცენტრში) – სულ 49 ჯგუფი (მათ შორის 44 – საბავშვო ბაღებში). პროგრამაში ჩართულია სულ 1256 ბავშვი.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 51 საჯარო სკოლა** (აქედან ქალაქში – 12), სადაც 14146 მოსწავლე, 1417 მასწავლებელი და 61 სპეცმასწავლებელია. 2013-2020 წლებში, არაქართულენოვან სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის, 32 კონსულტანტ-მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 226 სსსმ მოსწავლე. 2020 წლისთვის, 23 საჯარო სკოლას 59 მანდატური ემსახურება. საჯარო სკოლებთან მომუშავე ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ჯგუფში 2 ფსიქოლოგი და ერთი სოცმუშაკი მუშაობს, დასაქმებულია 4 ფსიქოლოგი. საჯარო სკოლებს 13 ექიმი/ექთანი ემსახურება.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის:** 2013-2018 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, 137 სასკოლო პროექტი დაფინანსდა, 2017-2019 წლებში – 136. ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით, **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში, 2019 წელს, 10 საჯარო სკოლას 216 კომპიუტერი გადაეცა, **ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით** კი 18 საჯარო სკოლას – 120 კომპიტერი. 2018-2019 წლებში,

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

**ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** სკოლების აღჭურვის 53 და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 58 პროექტი განხორციელდა, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით** 10 სკოლა აღიჭურვა. 2015-2019 წლებში, **მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 149 პროექტი განხორციელდა. **„ახალი სკოლის" მოდელი"**, 2021 წლისთვის, დანერგილია 30 საჯარო სკოლაში. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით, 2020-2021 წლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 39 და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აფხაზეთის 4 საჯარო სკოლის 4125 მოსწავლე სარგებლობს. 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებს, ჯამში, 2820 **სასკოლო ჟურნალი** და 365768 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. 2013-2019 წლებში, კომპიუტერით დასაჩუქრდა 9046 პირველკლასელი, 525 – კლასის დამრიგებელი და 323 – წარჩინებულ მოსწავლე. ამავე პერიოდში, საჯარო სკოლებში, ჯამში, 377 **ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი, 2020-2021** წლებში კი 158 ოქროსა და 48 ვერცხლის მედალოსანი გამოვლინდა.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 142 პროექტი განხორციელდა, რაზეც, ჯამში, 5 მლნ 205,7 ათასი ლარი დაიხარჯა.** მათ შორის, განხორციელდა **ნაწილობრივი რეაბილიტაციის** – 81 პროექტი. ადაპტირებულია 42 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია 27. MCC-ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში 5 სკოლაა ჩართული.

**2018-2020 წლებში** 51 საჯარო სკოლაში განხორციელებულ 93 ინფრასტრუქტურულ პროექტზე, ჯამში, 661,7 ათასი ლარი დაიხარჯა. საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი 1 მლნ 500 ათასი ლარით 19 საჯარო სკოლაში მოეწყო შიდა სველი წერტილები, გადაიხურა 2 სკოლა. სოფ. დარჩელის №1 საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაციაზე („ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია") – 1 მლნ 700 ათასი ლარი დაიხარჯა. **2019 წელს** – საჯარო სკოლებში რეაბილიტაციის 20 პროექტი, ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 1 მლნ 241,6 ათასი ლარით დაფინანსდა. **2019-2020 წლებში** განხორციელდა სოფ, დარჩელის №2 საჯარო სკოლის კომპიუტერული კლას-კაბინეტის სრული რეაბილიტაცია (8,9 ათასი ლარი), ცაიშის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (98,9 ათასი ლარი). **2020 წელს** „მილენიუმის" (MCC) მოვლა-პატრონობის პროგრამაში ჩაერთო ქ. ზუგდიდის №4, №8 და №10, სოფელ ინგირის №2 და სოფელ დარჩელის №1 საჯარო სკოლები.

**2020-2021 წლებში,** ადგილობრივი ბიუჯეტით, საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამით, განხორციელდა: ქითაწყარის საჯარო სკოლა – შიდა წყალმომარაგების სისტემაზე დაერთება (4 100 ლარი), ახალაბასთუმნის სკოლის ჭის რეაბილიტაცია (900 ლარი), კახათის №1 სკოლის ეზოს მოწყობა (3051,44 ლარი), კორცხელის სკოლის ელექტროგაყვანილობის რეაბილიტაცია (3 000 ლარი), კახათის №2 სკოლის ჭაბურღილის მოწყობა (3 000 ლარი), რუხის (ნაწულუკუ) საჯარო სკოლის არტეზიული ჭის მოწყობა (4 500 ლარი), ოქტომბრის საჯარო სკოლის საკვამური მილების მონტაჟი (2 000 ლარი), ზუგდიდის №11 სკოლის შიდაქსელის ცენტრალურ წყალმომარაგების სისტემაზე დაერთება (3 000 ლარი), კოკის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ოთახის რეაბილიტაცია (4500 ლარი), ცაიშის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (10 000 ლარი).

**2021 წელს მიმდინარე ნაწილობრივი რეაბილიტაციის პროექტები:** ჭაქვინჯის (დიდობერა) საჯარო სკოლის ჭის მოწყობა – 4 480 ლარი, ოდიშის №2 საჯარო სკოლის ჭაბურღილის გაჭრა – 6 735 ლარი, ოდიშის №2 საჯარო სკოლის საკლასო ოთახების რეაბილიტაცია – 14 000 ლარი, კახათის №1 საჯარო სკოლის სპორტული მოედნის მოწყობა – 37 079,47 ლარი, ჭაქვინჯის საჯარო სკოლის ეზოს შემოკავება – 21 454,60 ლარი, ნარაზენის საჯარო სკოლის საკლასო ოთახის რეაბილიტაცია– 5 000 ლარი, ზუგდიდის №6 საჯარო სკოლის წყალმომარაგების სისტემის უზრუნველყოფა – 6 500 ლარი, ოქტომბრის (დავითიანი) სკოლის საკლასო ოთახის რეაბილიტაცია – 4 000 ლარი, დარჩელის №2 საჯარო სკოლის ცენტრალური შესასვლელის გადახურვა – 3 000 ლარი. **შიდა სველი წერტილები მოეწყო მუნიციპალიტეტის 17 საჯარო სკოლაში** (ქ. ზუგდიდის №5, 7, 9, 11, კორცხელის, ორულუს, ანაკლიისა და შამგონის, ახალსოფლის, ინგირის №1, კახათის №1, №2, ქითაწყარის, ოდიშის №2, დარჩელის №2, ჯიხაშკარის №1, დიდინეძის საჯარო სკოლებში), რაც რეგიონული განვითარების ფონდიდან, ჯამში, 1 მლნ 139,6 ათასი ლარით დაფინანსდა.

**ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** საჯარო სკოლებში სველი წერტილების მიშენება-რეაბილიტაციის 25 პროექტის განხორციელებაზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 3 მლნ 313,6 ათასი ლარი დაიხარჯება. სველი წერტილები უკვე მოეწყო 23 საჯარო სკოლაში (ტყაიას, აბასთუმნის, ქ. ზუგდიდში №6, ჭაქვინჯის, ცაიშის, განმუხურის, ურთას, ჯუმის, ახალკახათის, რუხის, ახალაბასთუმნის, ქითაწყარის, ოქტომბრის, კოკის, ორსანტიას, ოდიშის, რუხის, დავითიანის, ერგეტას, ინგირის №2 საჯარო სკოლებში.) სამუშაოები **მიმდინარეობს** ჭაქვინჯისა და ჭკადუაშის საჯარო სკოლებში.

**ამჟამად, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, მიმდინარეობს:** სოფ. ჯიხაშკარის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (3 მლნ 143,5 ათასი ლარი); ქ. ზუგდიდის №1 და №12 საჯარო სკოლების რეაბილიტაცია (ჯამში 7 მლნ 330,9 ათასი ლარი). გადაიხურა კოკის საჯარო სკოლის შენობა (66,9 ათასი ლარი). **დასრულდა** სოფ. დარჩელში, 90 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის მშენებლობა (ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით) – 1 მლნ 689,9 ათასი ლარი. 2021 წელს დასრულდება სოფელ ყულიშკარისა და სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია.

## პროფესიული განათლება

**ქ. ზუგდიდში ფუნქციონირებს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომელიც, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს.** 2021 წლისთვის სასწავლებელში სულ 49 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება, მათ შორის 45 – მოდულური, 4 – დუალური. **2013-2020 წლებში,** სახელმწიფოს მხრიდან საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ 8 მლნ 372 ათასი ლარი შეადგინა. **2018-2020 წლებში,** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით, 36 პროექტი განხორციელდა. 2020 წლიდან კოლეჯმა მოიპოვა ისეთი ტიპის პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება, რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი. 2020-2021 ს/წელს ინტეგრირებულ პროფესიულ პროგრამებში 26 სტუდენტია ჩართული.

**სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე მიმდინარეობს ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა.** 250 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შენობა პირველ სტუდენტებს ინფორმაციული ტექნოლოგიების, ჯანდაცვის, განათლებისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებების პროფესიულ პროგრამებზე მიიღებს. 2021 წლისთვის, ზუგდიდში, ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების 10 პროგრამა ხელმისაწვდომია 3 დაწესებულებაში.

## უმაღლესი განათლება

**ქ. ზუგდიდის შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში,** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 475 პროფესიული სტუდენტია, უწყვეტი განათლების პრინციპით მომზადება/გადამზადების კურსები გაიარა 6 000-ზე მეტმა ბენეფიციარმა. სასწავლო უნივერსიტეტში დაინერგა/ხორციელდება მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის ახალი მოდელი - დუალური განათლება (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება).

**2020 წლის** მდგომარეობით, უნივერსიტეტში 13 ავტორიზებული პროგრამა ხორციელდება, მათ შორის, 8 – საბაკალავრო, 3 – სამაგისტრო, 1 – მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა და 1 – მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა. 2013-2020 წლებში, **სოციალური პროგრამით,** 149 სტუდენტი დაფინანსდა, 2015-2020 წლებში კი, ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე დასახლებებიდან, უნივერსიტეტის 50 სტუდენტი დაფინანსდა. 2019 წელს პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე 45, ხოლო 2020 წელს კი 87 სტუდენტი დაფინანსდა, **2013-2020 წლებში,** სახელმწიფოს მხრიდან საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ 8 მლნ 372 ათასი ლარი შეადგინა. **2017-2019 წლებში,** უნივერსიტეტში პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებზე 96 მსჯავრდებული/ყოფილი პატიმარი ჩაირიცხა. სოციალური პროგრამის ფარგლებში 2020-2021 სასწავლო წელს დაფინანსდა 3 სტუდენტი (ბაკალავრი). გამყოფი ხაზის პროგრამის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან, 2020-2021 სასწავლო წელს, დაფინანსდა 71 სტუდენტი, მათ შორის, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში - 16 სტუდენტი.

**უნივერსიტეტი ახორციელებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი ხელშეწყობის საგანმანათლებლო და სოციალურ პროექტებს.** უნივერსიტეტში დაინერგა **სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექნიზმები,** შემუშავდა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პროგრამები მოწყვლადი ჯგუფებისა და რეგიონებისათვის, საერთაშორისო პროექტის – DARE-ის ფარგლებში, აუდიო და ვიდეოლექციებით აღიჭურვა სტუდენტური მომსახურების სერვისების ლაბორატორია, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შემუშავდა სპეციალური სასწავლო პროგრამები, გრაფიკები, ელექტრონული ლექციები, დაინერგა ელექტრონული სწავლების მეთოდი (შერეული).

**2015-2020 წლებში უნივერსიტეტში აღჭურვა-რეაბილიტაციის 27 პროექტი განხორციელდა, რაზეც, ჯამში, 4 მლნ 935,6 ათასი ლარი დაიხარჯა.** 2020 წელს დასრულდა უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა, რაც 1 მლნ 749,8 ათასი ლარით დაფინანსდა.

### „ქართული ოცნების" უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება და ყველასთვის ხელმისაწვდომი სასკოლო მზაობის ეფექტიანი პროგრამების განხორციელება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მათ შორის, **მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით,** განხორციელდება: სოფ. რუხში 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა (4 მლნ 84,2 ათასი ლარი); სოფ. ქითაწყარში 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა (4 ლნ 84,2 ათასი ლარი); სოფ. შამგონაში 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა (3 მლნ 779,6 ათასი ლარი); სოფ. დარჩელში 180 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა (3 მლნ 129,2 ათასი ლარი);
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ზუგდიდში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით;
- განხორციელდება საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის, **სკოლების სახელმწიფო პროგრამით** დაგეგმილია: სოფელ კახათის №1 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა (214, 4 ათასი ლარი); სოფელ რიყის საჯარო სკოლის გადახურვა (139,8 ათასი ლარი);
- დაგეგმილია სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეაბილიტაციის 6 პროექტი – ჯამში, 1 მლნ 400 ათასი ლარი;
- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გაგრძელდება ზუგდიდის 39 საჯარო სკოლასა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ აფხაზეთის 4 საჯარო სკოლაში;
- დასრულდება პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების – სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ახალი კორპუსის მშენებლობა;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა,** შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი“. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“, რომლის დაქვემდებარებაში შედის: მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეა, კონდრატე თათარაშვილის („უიარაღოს“) სახელობის სახლ-მუზეუმი, სპორტის მუზეუმი, ჩხორიის სამოყვარულო თეატრი, ზვიად გამსახურდიას სახელობის ოთახ-მუზუმი, იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმი, ზურაბ ნარმანიას სახელობის ოთახ-მუზეუმი, სოლომონ ცაიშვილის სახლ-მუზეუმი, ვანიონ დარასელის სახლ-მუზეუმი, ალექსანდრე საჯაიას სახლ-მუზეუმი, მედია-მუზეუმი. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლე“, რომლის დაქვემდებარებაში შედის: საგუნდო-სამუსიკო სკოლა, ორი სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა. ზუგდიდში ფუნქციონირებს შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. სსიპ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი.

**2013 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება,** 2020 წელს კულტურის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 2 მლნ 6,8 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 1 მლნ 933,1 ათასი ლარი იყო.

**2014-2016 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება სახალხო ზეიმები, საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოები, ტარდება კონფერენციები, თემატური ლექცია-სემინარები და სხვ. **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინიციატივით,** დაფუძნდა პოლიკარპე ხუბულავას სახელობის მეგრული ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და..“, რომელიც ყოველწლიურად ჩატარდება. **2019 წელს დაფუძნდა** ავსტრიელი მწერლისა და პაციფისტის, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატის, ბერტა ფონ ზუტნერის სახელობის მშვიდობის საერთაშორისო პრემია, რომელიც ყოველწლიურად გაიმართება. გაიმართა კავკასიის ხალხთა ლიტერატურულ-ფოლკლორული ფესტივალი „ანაკლია 2016“, „ანაკლია 2017“, „ანაკლია 2018“ და „ანაკლია 2019“, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პოეტები.

**2016-2020 წლებში, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, ქ. ზუგდიდსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში** (კოკი, ორსანტია, რუხი, განმუხური, ტყაია, ახალკახათი, ანაკლია) ხორციელდება პროექტი – „კულტურა საზღვრებს გარეშე“, რომლის მიზანია გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის დევნილების, ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში იმართება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. 2019 წელს, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, შედგა ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლი ჰოლანდიაში. განხორციელდა პროექტები: ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“; „ცოცხალი წიგნები“; ხელი შეეწყო ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის საქმიანობას.



**2016-2019 წლებში** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის **10 სოფელში გაიხსნა ბიბლიოთეკები** („ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის“ ფილიალები), 2 ბიბლიოთეკა-ფილიალი გაიხსნა ქალაქის ტერიტორიაზეც. **2019 წელთან შედარებით, გაიზარდა საბიბლიოთეკო დარგის განვითარების დაფინანსება.** ზუგდიდის ბიბლიოთეკა პერიოდულად ახლდება თანამედროვე ლიტერატურით – 2019 წელს წიგნადი ფონდი 2318 ახალი წიგნით შეივსო. პროექტით „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ განხორციელდა სასოფლო ბიბლიოთეკების კომპიუტერებით აღჭურვა.

**ძეგლთა დაცვის სფეროში განხორციელდა:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების გამოვლენისა და აღრიცხვის მიზნით საძიებო-სადაზვერვო ექსპედიციები, ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, აღიმართა რამდენიმე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლი (ქანდაკება), მომზადდა სარეკლამო ვიდეორგოლები (სულ 38 ღონისძიება).

**2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:** 2017 წლიდან საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ ახორციელებს და ამჟამად მიმდინარეობს სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის სრული რეაბილიტაცია. **2017-2018 წლებში,** იონა მეუნარგიას სკვერის მიმდებარედ, მოეწყო პანო (20 ათასი ლარი), ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმის ეზოში დაიდგა ბრინჯაოს ქანდაკება „კოლხური ბრინჯაოს კულტურა“ (24 ათასი ლარი); დასრულდა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია (108 ათასი ლარი); **2018 წელს** განხორციელდა ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის (ჯანაშიას ქ. №12) ნაწილობრივი რეაბილიტაცია (25, 2 ათასი ლარი); გაიხსნა ბიბლიოთეკების ახალი ფილიალები: ქ. ზუგდიდში №2 (ფაიფურის დასახლება) და №3, ასევე სოფელ დიდინეძსა და ჯიხაშკარში. **2019 წელს** ჩატარდა ამფითეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები განმუხურში (123, 9 ათასი ლარი), სამუშაოები გრძელდება და პროექტის საერთო ღირებულება 1 მლნ 203,9 ათასი ლარია. **ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით** რეაბილიტაცია ჩაუტარდა სსიპ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის კომპლექსში შემავალ ნიკო დადიანის სასახლეს. ამჟამად, კულტურის სამინისტროს დაფინანსებით, მიმდინარეობს ექსპოზიციის ინსტალირება (ჯამში 200 ათასი ლარი). დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმს, 2013-2021 წლებში, 255 675 დამთვალიერებელი სტუმრობდა. იმავე წლებში, მუზეუმში 68 თემატური გამოფენა მოეწყო.

იმავე პერიოდში, არქეოლოგიურად შესწავლილ იქნა ბრინჯაოს ხანის ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვი „ცვანეს დიხაგუძუბა“, რომელიც ინფრასტრუქტურულად ღია ტიპის მუზეუმისთვის მზადდება; არქეოლოგიური კვლევა-ძიება დაიწყო ჭაქვინჯის ციხეზე, სადაც გამოვლინდა ძვ. წ. აღ.-ის მერვე საუკუნის მასალები და ციხის ტერიტორიაზე ცხოვრების ქრონოლოგია გაიზარდა ათასი წლით.

**მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, კულტურის სამინისტრომ განახორციელა:** დადიანების სასახლის რეაბილიტაცია (61,3 ათასი ლარი); გერმანული კულტურული მემკვიდრეობის კვლევა-ინვენტარიზაცია (100 ათასი ლარი); სსიპ „დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის“ საგვარეულო ბიბლიოთეკისთვის კარადების დამზადება და მისი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა (18,3 ათასი ლარი); თეატრის ხელშეწყობა სადადგმო-საგასტროლო ხარჯით (22 ათასი ლარი; სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ექსპერტიზა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დასადგენად და შენობის გაძლიერების პროექტის შედგენა (30,8 ათასი ლარი); თეატრის შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (58 ათასი ლარი); განმუხურსა და რუხში ზღვისპირა გამყოფ ზოლთან კულტურული პროგრამა (10 ათასი ლარი); კულტურული პროგრამა „შემოსაზღვრე საქართველო“ (3,5 ათასი ლარი).

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით,** 2014 წელს, განხორციელდა სქურის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების I ეტაპი – 150 ათასი ლარი, II ეტაპი - 2015 წელს, 449,9 ათასი ლარი. 2015 წელს, განხორციელდა დადიანების სასახლეთა კომპლექსში შემავალი ნიკო დადიანის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (200 ათასი ლარი).

**2018-2019 წლებში,** სოფ. ცვანეს მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები. 2020 წელს სოფ. ცაიშში, განხორციელდა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრის რეაბილიტაცია, მომზადდა ცაიშის საკათედრო ტაძრის კედლის მხატვრობის კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაცია, არქეოლოგების ზედამხედველობით გაიწმინდა ჯიხაშკარში მდებარე ჭაქვინჯის ციხის ტერიტორია (30 ათასი ლარი). 2019 წელს დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს ბაღმარანის ეკლესიის რეაბილიტაცია სოფელ ახალაბასთუმანში.

## სპორტი

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს:** ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“. ცენტრის დაქვემდებარებაშია შემდეგი სპორტული ობიექტები და სექციები: კომპლექსური სპორტული დარბაზი (კრივის, კარატეს, კიკბოქსინგის, აშიჰარა კარატეს, მხატვრული ტანვარჯიშის, ტაეკვონდოს, კალათბურთის, ხელბურთის, რაგბის, მძლეოსნობის სექციები), ძიუდოს სავარჯიშო დარბაზი (ძიუდოს, სამბოს და თავისუფალი ჭიდაობის ჯგუფები), რიყის ძალოსნობის დარბაზი (ძალოსნობის სექცია), რიყის ადმინისტრაციული ერთეული (კრივის სექცია), ზუგდიდის კულტურის სახლი (კარატეს სექცია), ჭითაწყარის, ყულიშკარისა და ჭაქვინჯის ადმინისტრაციული ერთეულები (კარატეს სექცია), ჯიხაშკარისა და ჭაქვინჯის ადმინისტრაციული ერთეულები (კიკბოქსინგის სექცია), სსიპ ცაიშის საჯარო სკოლა (ქართული ჭიდაობისა და სამბოს სექციები), ზუგდიდი (მკლავჭიდის სექცია).

**მუნიციპალიტეტში შეიქმნა სასპორტო სკოლები და კლუბები:** კომპლექსური სასპორტო სკოლა, ჭიდაობის სასპორტო სკოლა, საბრძოლო ხელოვნების სასპორტო სკოლა, ჭადრაკის სასპორტო სკოლა, ფეხბურთის სასპორტო

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

სკოლა, საცხენოსნო კლუბი „ხარება", ამპუტანტი ფეხბურთელების გუნდი „ოდიში". ამერიკული ფეხბურთის გუნდი „ვესტერნ ბედ ბოიზი." **2020 წელს** სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და ინვენტარით აღიჭურვა ჭადრაკის სახლი „ნონა", სოფელ რიყეში ფუნქციონირებს ძალოსნობის დარბაზი, სოფ. ნარაზენში კი კრივის დარბაზი.

**2013 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სპორტის სფეროს დაფინანსება:** 2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 1 მლნ 266,3 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 588,5 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტის სპორტსმენები სისტემატურად მონაწილეობენ შემდეგ ღონისძიებებში: მუნიციპალიტეტის ღია პირველობები თავისუფალ ჭიდაობასა და კარატეში, ფეხბურთში, ფრენბურთსა და მკლავჭიდში, ევროკავშირის კვირეული „ჭადრაკი", მუნიციპალიტეტის ღია საგაზაფხულო პირველობა ქართულ ჭიდაობაში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პირველობა კიკბოქსინგში, ძიუდოში, ჭიდაობაში, კრივში, ძალოსნობაში, საქართველოს პირველობა კიკბოქსინგში და სხვ.

**2020 წელს დაიწყო** და დღემდე გრძელდება ზუგდიდის საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი; **2021 წელს** დაიწყო სპორტული კომპლექსის მშენებლობა, სადაც განთავსდება ორი საცურაო აუზი და 4 სპორტული დარბაზი, **მიმდინარეობს** რაგბის სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

**2013-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი. 2013 წელს** ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სპორტული მოედნების რეაბილიტაციის 17 პროექტს 230,8 ათასი ლარი მოხმარდა. **2016-2017 წლებში –** ზუგდიდის სპორტული დარბაზის (აღმაშენებლის ქ. №222) რეაბილიტაციაზე 110 ათასი ლარი დაიხარჯა. დასრულდა ძალოსნობის დარბაზის, ყინულისა და საფეხბურთო მოედნების რეაბილიტაცია. იმავე წელს, ძიუდოს დარბაზის რეაბილიტაცია 105 ათასი ლარით დაფინანსდა, სპორტული მინიმოედნების რეაბილიტაციას ქ. ზუგდიდსა (2 სტადიონი) და ორსანტიაში 97, 3 ათასი ლარი მოხმარდა. **2018-2019 წლებში** ქ. ზუგდიდში განხორციელდა საჭადრაკო სკოლის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის ერთი ეტაპი (ჯამში, 846, 3 ათასი ლარი). **2019 წელს** ანაკლიის ბულვარში არსებული კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 91,5 ათასი ლარი დაიხარჯა, განმუხურის ბულვარში – ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაციას 12,6 ათასი ლარი მოხმარდა. ასევე, ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბაღმარანის უბანში, განხორციელდა მინისტადიონის რეაბილიტაცია (4,8 ათასი ლარი). **2019 წელს დაიწყო და მიმდინარეობს** ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. №5-ში არსებული საფეხბურთო სტადიონის დასრულებისა და ახალი, ხელოვნურსაფარიანი, სათადარიგო სტადიონის მშენებლობის სამუშაოები (ჯამში 9 მლნ 900 ათასი ლარი), **2020 წელს** დასრულდა ქ. ზუგდიდის საჭადრაკო სკოლის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (500 ათასი ლარი). სპორტული მინიმოედნები მოეწყო მოსაშვილისა და თბილისის ქუჩებზე (85,5 ათასი ლარი). **2018-2020 წლებში –** ქ. ზუგდიდში 17, მუნიციპალიტეტის სოფლებში კი – 39 მინი სპორტული მოედანი აშენდა და კეთილმოეწყო, რაზეც, საერთო ჯამში, 1 მლ 622 308 ლარი დაიხარჯა. **2020-2021 წლებში** გარე სავარჯიშო მოწყობილობები (ტრენაჟორები), საჩრდილობელი გადახურვით, დაიდგა ქ. ზუგდიდში, ბაგრატიონისა და 25 დეკემბრის ქუჩების კვეთაზე, თაბუკაშვილის შესახვევი №4-ში და ჯანაშიას ქ. №15, მშენებარე სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე (ჯამში, 71,7 ათასი ლარი).

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით,** სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდა ჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაც დააფინანსა. მათ შორის, **2018 წელს სამინისტრომ ზუგდიდის** მუნიციპალიტეტს 2820 ლარის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარი გადასცა; **2019-2020 წლებში** - ქ, ზუგდიდში საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრება ჩაატარა ძიუდოში, ჭაბუკებს შორის. **2018 წელს -** სპორტის განვითარების ხელშეწყობისთვის დაიხარჯა 47, 5 ათასი ლარი. მათ შორის, საცხენოსნო სპორტის პოპულარიზაციის მიზნით, საცხენოსნო კლუბი „ხარება" 43 ათასი ლარით დაფინანსდა. **2019 წელს -** სპორტის განვითარების ხელშეწყობისთვის დაიხარჯა 78,3 ათასი ლარი. **2020 წელს -** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი დაფინანსდა 34 ათასი ლარით; საცხენოსნო კლუბი „ხარება" დაფინანსდა 80 ათასი ლარით; შშმ და სოციალურად დაუცველ სპორტსმენებზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარებები და სხვ.

**სულ, 2018-2020 წლებში სხვადასხვა პროგრამები ჯამურად 125, 7 ათასი ლარით დაფინანსდა.**

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** „საინფორმაციო კამპანიები ნარკომანიისა და თამბაქოს წინააღმდეგ"; მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობის სფეროზე პასუხისმგებელი პირების გასვლითი სამუშაო შეხვედრა ანაკლიაში; „საქართველოს თასი ლაშქრობაში"; მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით**, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს: „ახალგაზრდობა გარემოს დაცვისთვის (4,5 ათასი ლარი); „მშვიდობის ბანაკი" (19,5 ათასი ლარი); „მკითხველის კონკურსი" (8,6 ათასი ლარი), „გზა განათლებიდან დასაქმებამდე" (21 ათასი ლარი); „დასაქმება და არაფორმალური განათლება სამეგრელოს ახალგაზრდებისთვის". **ფონდის მხარდაჭერით,** 2017 წლიდან ა(ა)იპ „ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის" ახორციელებს პროექტს **„სოციალური საწარმო „მეგო-ბარი"** (19,7 ათასი ლარი). პროექტის მიზანია ზუგდიდში მცხოვრები, მათ შორის, სოციალურად დაუცველი, დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები, ახალგაზრდებისთვის შეიქმნას საერთო სამუშაო სივრცე, რომელსაც ექნება სოციალური საწარმოს სახე. სოციალური საწარმო „მეგო-ბარი" არის პირველი არაკომერციული, უფასო საერთო სამუშაო სივრცე (co working space) და კაფე-ბარი ზუგდიდში. დევნილ და სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ, ბარში გაიარონ ბარმენის, კონდიტერის, მუსიკალური წამყვანის პრაქტიკული და თეორიული კურსები, რაც შემდგომში მათ დასაქმებას შეუწყობს ხელს.

**2016 წელს** სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა პროექტი **ანაკლიის „მომავლის ბანაკი"** (814,6 ათასი ლარი).

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა პროექტი „CYNC კვირეული ზუგდიდი" (55,5 ათასი ლარი),** რომელიც ითვალისწინებდა ერთკვირიანი საგანმანათლებლო ტრენინგ-კურსების ჩატარებას, მონაწილეთათვის (სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის) შემეცნებითი ტურების მოწყობას ძველ თბილისში, შეხვედრას სპორტისა და ახალგაზრობის საქმეთა სამინისტროში, გამწვანების აქციის ორგანიზებას, ზოოპარკისა და ეროვნული მუზეუმის დათვალიერებას, მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლზე დასწრებას.

**სამინისტროს უშუალო ჩართულობით, 2020 წელს:** ჩატარდა ზუგდიდში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროების რაოდენობრივი კვლევა; გადამზადდა ზუგდიდის მერიის ახალგაზრდულ სამსახურში მომუშავე 2 თანამშრომელი, 2020 წლის იანვარში, სტრასბურგში გამართულ საერთაშორისო სემინარზე, ზუგდიდის ახალგაზრდული სამსახურისა და ზუგდიდში მომუშავე ახალგაზრდული ორგანიზაციის თითო-თითო წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა; შეიქმნა და დაინერგა ზუგდიდის ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის საპილოტე მექანიზმები; წლის საგრანტო პროგრამით 30 ათასი ლარით დაფინანსდა 1 ახალგაზრდული ორგანიზაცია (დასაქმდა 4 ახალგაზრდა), ახალგაზრდული გრძელვადიანი სერვისი მიეწოდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 200-ზე მეტ ახალგაზრდას; 2 ორგანიზაციის 6 თანამშრომელი გადამზადდა სხვადასხვა მიმართულებით, მათგან 2-ის გადამზადება დაიწყო ახალგაზრდული მუშაკის სასერტიფიკატო პროგრამით; ახალგაზრდული მუშაკების გადამზადების სერტიფიცირების პროგრამაში ჩაერთო ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე მოქმედი პროფესიული სასწავლებელი და გადამზადდა 2 ახალგაზრდული მუშაკი; ჩატარდა რეგიონის ახალგაზრდული ფორუმი. **2021 წელს,** ზუგდიდში არსებულ ახალგაზრდულ სივრცეს გადაეცა მცირე სპორტული ინვენტარი. ხორციელდება **ახალგაზრდული პროექტების ფინანსური ხელშეწყობის (დაფინანსება/თანადაფინანსება) პროგრამა**, რომელიც ვრცელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი/დევნილი) 14-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდებზე. **სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსების პროგრამით** 6 ახალგაზრდული პროექტი 13,6 ათასი ლარით დაფინანსდა. **„დასაქმებისა და გადამზადების ცენტრს"** ახალგაზრდული სათათბიროს ჩამოყალიბებისა და სათათბიროსთვის შესაბამისი სივრცის მოწყობის მიზნით გამოეყო 10 000 ლარი.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები: 2023 წელს დასრულდება ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სრული რეაბილიტაცია (ფონდი „ქართუ", 9 მლნ ლარი); დასრულდება დადიანების სასახლეთა კომპლექსში ნიკო დადიანის სასახლის სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო სამუშაოები (120 ათასი ლარი); დაგეგმილია იონა მეუნარგიას სახლ-მუზეუმის შეკეთება-აღდგენა (50 ათასი ლარი);
- 2022-2024 წლებში დაგეგმილია ადგილობრივი მუზეუმების ექსპონატების აღდგენა (30 ათასი ლარი); მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საერთო რეესტრში ელექტრონული კატალოგის მომზადება;
- 2025 წლამდე იგეგმება ყველა სასოფლო ბიბლიოთეკის კომპიუტერებითა და ინტერნეტით აღჭურვა;
- 2021-2023 წლებში დაგეგმილია ზუგდიდის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის (ჯანაშიას ქ. №12) რეაბილიტაციის 7 პროექტი, რაზეც, ჯამში, 1 მლნ 120 ათასი ლარი დაიხარჯება;
- განხორციელდება ქ. ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში არსებული ორანჟერეის, ჯვარედინა სასახლის, ძველი წყლის სისტემისა და გადასასვლელი ხიდის სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოები (2 მლნ ლარი);
- 2022-2025 წლებში განხორციელდება ცაიშის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაცია (1 მლნ 500 ათასი ლარი);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცვანეს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ხელოვნურ ნამოსახლარ ბორცვზე „ცვანეს დიხაგუძუბა" მოეწყობა ღია ტიპის მუზეუმი;
- 2022-2025 წლებში დაგეგმილია ჭაქვინჭის ციხის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (300 ათასი ლარი);
- მიმდინარეობს ქ. ზუგდიდში საცურაო აუზის რეაბილიტაცია (8 მლნ 227,8 ათასი ლარი); დაგეგმილია საცურაო აუზისა და მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა ყოფილი „კომკავშირული პარკის" ბაზაზე. იმავე ტერიტორიაზე მოხდება ყინულის სახლის გადატანა (ჯამში 11 მლნ 366,4 ათასი ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი);
- მიმდინარეობს უეფას მე-3 კატეგორიის საფეხბურთო, 7000 მაყურებელზე გათვლილი, სტადიონის მშენებლობა და, 1200 მაყურებელზე გათვლილი, დამხმარე სტადიონის მშენებლობა;
- დაგეგმილია სპორტული მინიმოედნების მოწყობა ქ. ზუგდიდში (ლომონოსოვის ქუჩის მიმდებარედ, ლომთათიძის ქ. I შესახვევის მიმდებარედ) და გარე სავარჯიშო მოწყობილობების (ტრენაჟორების) მოწყობა (ბერიას ქუჩაზე (№2 ბაღის უკან, ზ. გამსახურდიას გამზირზე (ცენტრალური ბულვარი);
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას; ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- ჩატარდება სამეგრელოს ახალგაზრდული ფორუმი.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ძვირფასებო!

უდიდესი პატივია, წარვდგე თქვენ წინაშე, როგორც „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. ეს განსაკუთრებული ნდობის გამოხატულებაა, რისთვისაც მადლობას გადავუხდი პოლიტიკურ გუნდს.

პირადად ჩემთვის, ხელისუფლებაში ყოფნა არა პრივილეგია, არამედ საკუთარ ხალხზე ზრუნვის სასიამოვნო ვალდებულებაა. როგორც ერთ-ერთ თქვენგანს, ზუგდიდმა ყველაფერი მომცა. მასწავლა სწორი ადამიანური ურთიერთობები, აქ ჩამომიყალიბდა ცხოვრებისეული მსოფლმხედველობა, აქ იზრდებიან ჩემი შვილები. ამ ქალაქთან არის დაკავშირებული ჩემი წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც. ამიტომაც, ლოგიკურია, რომ ამ მუნიციპალიტეტის მერობა ჩემთვის უდიდესი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა, რომელიც თქვენი დახმარებით, ღირსეულად უნდა ვატარო!

ყველასათვის ნათელია, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ზუგდიდში არაერთი მიმართულებით შევძელით წინსვლა. 7 წელია საკრებულოში ვსაქმიანობ, ხოლო 2017 წლიდან საკრებულოს თავმჯდომარის რანგში ვზრუნავ მშობელი ხალხის ინტერესების დაცვაზე. ზუსტად ვიცი, რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ, თქვენთან მრავალწლიანი, უწყვეტი კავშირის შედეგად, მე და ჩემს გუნდს ზუსტად გვაქვს განსაზღვრული ჩვენი მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები და ის პრიორიტეტები, რომლითაც მომდევნო 4 წლის განმავლობაში ვიხელმძღვანელებთ.

აუცილებლად განვითარდება ინფრასტრუქტურა და სოფლებში წყალმომარაგების პრობლემა, ერთხელ და სამუდამოდ, გადაიჭრება, სწორი ეკონომიკური პრიორიტეტების დასახვითა და ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკის გატარებით კი ხელს შევუწყობთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

გარწმუნებთ, თქვენი მხარდაჭერით, ერთად დგომით, ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქტიური კომუნიკაციით, ყველა სფეროს განვავითარებთ და დიდ წარმატებასაც მივაღწევთ.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;
- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;
- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;
- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;




- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;
- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;
- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;
- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;
- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.